აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა

საინფორმაციო ბიულეტენი 73 აგვისტო / 2026

აჭარაში წყალმომარაგებისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს

აჭარის მუნიციპალიტეტებში წყალმომარაგებისა და წყალარინების თანამედროვე სისტემების შექმნის მიზნით, სამშენებლო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. პროგრამის ფარგლებში, ინფრასტრუქტურის მოწყობა რამდენიმე მუნიციპალიტეტში ერთდროულად ხორციელდება, რაც ადგილობრივი მოსახლეობისთვის ხარისხიანი, თანამედროვე და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კომუნალური მომსახურების უზრუნველყოფას შეუწყობს ხელს. 2026 წლის აგვისტოს მდგომარეობით, პროგრამის სამშენებლო სამუშაოების დაახლოებით ნახევარი დასრულებულია.

ხულოს მუნიციპალიტეტში სამუშაოები მიმდინარეობს დაბა ხულოში, ასევე სოფლებში ქვემო ვაშლოვანი, ძირკვაძეები, ოქრუაშვილები, დუაძეები და დიოკნისი. დაბა ხულოში ეწყობა წყალმომარაგებისა და წყალარინების ქსელები, ასევე მიმდინარეობს წყლის მაგისტრალური ქსელისა და წყალარინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა. ქვემო ვაშლოვანსა და ძირკვაძეებში შენდება წყალმომარაგების ქსელი, ასევე ქვემო ვაშლოვანში მიმდინარეობს 100 მ^3 მოცულობის რეზერვუარის კედლების არმირება. ოქრუაშვილებსა და დუაძეებში შენდება 100 მ^3 და 50 მ^3 მოცულობის რეზერვუარები, პარალელურად ეწყობა მრიცხველები და სეპტიკური ავზები. დიოკნისში დასრულებულდა 100 მ^3 რეზერვუარის მშენებლობა და დაგეგმილია ტესტირება. ასევე დაწყებულია სათავე ნაგებობისა და წყალმომარაგების ქსელის მოწყობა.

შუახევის მუნიციპალიტეტში სამუშაოები მიმდინარეობს დაბა შუახევში, კვიახიძეებში, ჟანივრში, ბარათაულში, გოგაძეებსა და თერნალში. დაბა შუახევში მიმდინარეობს არსებული 200 მ^3 რეზერვუარის გაფართოება და წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების მოწყობა. ჟანივრში, ბარათაულსა და გოგაძეებში შენდება ორი 100 მ^3 და 50 მ^3, მოცულობის რეზერვუარები. სოფლებში თერნალსა და გოგაძეებში ეწყობა წყალმომარაგების სისტემები და მონტაჟდება მრიცხველები.

ქედის მუნიციპალიტეტში სამუშაოები მიმდინარეობს დაბა ქედში, ვაიოში, უჩხითში, არსენაულში, მილისში, ქოსოფელსა და აქუცაში. ვაიოში დაწყებულია წყლის სატუმბი სადგურის მშენებლობა. აქუცაში ეწყობა სათავე ნაგებობასთან მისასვლელი გზა და შენდება 100 მ^3 მოცულობის რეზერვუარი.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში სამუშაოები მიმდინარეობს კირნათის, კობალეთისა და ჯოჭოს ტერიტორიებზე. სოფელ ზედა ჯოჭოში შენდება 200 მ^3 და 400 მ^3 მოცულობის წყლის რეზერვუარები და ეწყობა წყალმომარაგებისა და წყალარინების ქსელები. კირნათსა და კობალეთში შენდება 20 მ^3 და 100 მ^3 მოცულობის სეპტიკური ავზები. ამ ეტაპზე ობიექტებზე არმირების სამუშაოები მიმდინარეობს.

ქობულეთის მუნიციპალიტეტში სამუშაოები მიმდინარეობს ოჩხამურში, ჯიხანჯურში, ცეცხლაურში, მუხაესტატეს მეურნეობის დასახლებასა და ქვედა კვირიკეში. ქვედა კვირიკეში დაწყებულია 200 მ^3 მოცულობის რეზერვუარისა და წყლის სათავე ნაგებობის მშენებლობა, ხოლო მეორე 200 მ^3 რეზერვუარი ტესტირების ეტაპზეა. ოჩხამურის დასახლებაში დაიწყო ორი წყალარინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა. ჯიხანჯურში მიმდინარეობს 400 მ^3 მოცულობის რეზერვუარის არმირება.
მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების დასრულების შედეგად, 2026 წლის ბოლოს, ან 2027 წლის დასაწყისში, მოსახლეობა ახალი, თანამედროვე კომუნალური სისტემით სარგებლობას შეძლებს შემდეგ დასახლებებში: მუხაესტატეს მეურნეობის დასახლება, ქვედა კვირიკე, უჩხითი, მილისი, ქოსოფელი, კირნათი და კობალეთი. პროგრამის განხორციელება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს რეგიონში ცხოვრების ხარისხს, უზრუნველყოფს საიმედო წყალმომარაგებასა და წყალარინების თანამედროვე სისტემებს, ხელს შეუწყობს გარემოს დაცვას და რეგიონში თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კომუნალური ინფრასტრუქტურის შექმნას.

ინფორმაცია პროგრამის შესახებ

გერმანია-საქართველოს შორის ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში და ევროკავშირის მხარდაჭერით საქართველოსთან, აჭარის მუნიციპალიტეტებში (ქედა, შუახევი, ხულო, ხელვაჩაური, ქობულეთი) თანამედროვე სტანდარტების წყალმომარაგებისა და წყალარინების ინფრასტრუქტურა იქმნება.

პროექტის დასრულების შემდეგ, მუნიციპალიტეტებში მოსახლეობა 24 საათიანი უწყვეტი წყალმომარაგებით და გამართული წყალარინების სისტემებით ისარგებლებს. სამუშაოების განხორციელება ხელს შეუწყობს სოფლებში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, ასევე ტურიზმის სტიმულირებას.

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა, თვისებრივად პირველია საქართველოში რომელიც წყლისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის განვითარების ორგანიზებას ახდენს რეგიონის სოფლებში.

ეს საინფორმაციო ბიულეტენი შექმნილია ევროკავშირის და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია სს “აჭარის წყლის ალიანსი” და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის შეხედულებებს.

Funded by the European Union

AJARA RURAL WATER AND WASTEWATER PROGRAMME

Newsletter 73 August / 2026

WATER SUPPLY AND WASTEWATER INFRASTRUCTURE CONSTRUCTION WORKS UNDERWAY IN RURAL AJARA

Construction works are actively underway in the municipalities of Ajara with the aim of creating modern water supply and wastewater systems. Within the framework of the Program, infrastructure development is being carried out simultaneously in several municipalities, which will contribute to providing the local population with high-quality utility services that meet modern international standards. In August 2026, the Program construction works are approximately half way finished.

In **Khulo Municipality**, works are underway in Khulo semi-urban area, as well as in the villages of Kvemo Vashlovani, Dzirkvadzeebi, Okruashvilebi, Duadzeebi, and Dioknisi. In semi-urban area of Khulo, water supply and wastewater networks are being constructed, along with the main water supply network and a wastewater treatment facility. Water supply networks are being constructed in Kvemo Vashlovani and Dzirkvadzeebi, while reinforcement of the walls of a 100 m^3 reservoir is underway in Kvemo Vashlovani. In Okruashvilebi and Duadzeebi, reservoirs with capacities of 100 m^3 and 50 m^3 are being constructed, while meters and septic tanks are being installed in parallel. In Dioknisi, construction of the 100 m^3 reservoir has been completed and testing is planned. Construction of the water intake and water supply network has also begun.

In **Shuakhevi Municipality**, works are underway in semi-urban area of Shuakhevi, Kviachizeebi, Zhanivri, Baratauli, Gogadzeebi and Ternali. In semi-urban area of Shuakhevi, expansion of the existing 200 m^3 reservoir and construction of water supply and wastewater systems are underway. In Zhanivri, Baratauli, and Gogadzeebi, two reservoirs with capacities of 100 m^3 and 50 m^3 are being constructed. Water supply systems are being constructed and meters are being installed in the villages of Ternali and Gogadzeebi.

In **Keda Municipality**, works are underway in the semi-urban area of Keda, Vaio, Uchkhiti, Arsenauli, Milisi, Kosopeli, and Akutsa. Construction of a water pumping station has begun in Vaio. In Akutsa, an access road to the water intake is being constructed, along with a 100 m^3 reservoir.

In **Khelvachauri Municipality**, works are underway in the areas of Kirnati, Kobaleti and Jocho. In the village of Zeda Jocho, 200 m^3 and 400 m^3 water reservoirs are being constructed, along with water supply and wastewater networks. In Kirnati and Kobaleti, septic tanks with capacities of 20 m^3 and 100 m^3 are being constructed. At this stage, reinforcement works are underway at the sites.

In **Kobuleti Municipality**, works are underway in Ochkhamuri, Jikhanjuri, Tsetskhlauri, the Mukhaestate Settlement and Kvemo Kvirike. In Kvemo Kvirike, construction of a 200 m^3 reservoir and a water intake has begun, while the second 200 m^3 reservoir is at the testing stage. Construction of two wastewater treatment facilities has begun in the Ochkhamuri settlement. Reinforcement of the 400 m^3 reservoir is underway in Jikhanjuri.

Upon completion of the ongoing construction works, by the end of 2026 or early 2027, residents will be able to benefit from new, modern utility systems in the following settlements: Mukhaestate Settlement, Kvemo Kvirike, Uchkhiti, Milisi, Kosopeli, Kirnati, and Kobaleti.
The implementation of the Program will significantly improve the quality of life in the region, ensure reliable water supply and modern wastewater systems, contribute to environmental protection, and support the development of utility infrastructure in the region that meets modern international standards.

GENERAL INFORMATION ABOUT THE PROGRAMME

In the frame of the German-Georgian Financial Cooperation and EU support to Georgia, the municipalities of Ajara (Keda, Shuakhevi, Khulo, Khelvachauri, Kobuleti) will benefit from the modern standard water supply and waste water infrastructure.

Upon completion of the project, people in the municipalities will have 24 hour uninterrupted water supply and properly managed waste water system services.
The mentioned Programme will have an essential contribution to the improvement of the level of life, health and the hygiene in general for the citizens of the villages in Ajara as the Programme will keep the environment safe through avoiding contamination and pollution of the environment and water bodies by directly discharged effluent.

The content of the Programme “Rural Water Supply and Wastewater Programme-Ajara” is unique in Georgia with its potential to influence the water supply and wastewater infrastructure development in the villages of the region.

This newsletter has been produced with the assistance of the European Union and KfW Development Bank. Its contents are the sole responsibility of Ajara Water Alliance JSC and do not necessarily reflect the views of the European Union and KfW Development Bank.